



## საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1528 2020 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი

### 2020 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, უზრუნველყოს „არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების არაუმეტეს 3 000 000 ლარის მოძიება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამული კოდის (31 05 – ერთიანი აგროპროექტი) ფარგლებში შესაბამისი პროგრამული კლასიფიკაციის კოდის დამატება.

3. ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო), მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ

კომპანიებზე (შემდგომში – კომპანია), რომლებიც 2020 წლის 1 დეკემბრამდე 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდიან არანაკლებ 0.22 ლარად, გასცეს სუბსიდია 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 0.10 ლარის ოდენობით.

4. სააგენტომ, 2020 წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

5. სააგენტომ კომპანიებზე სუბსიდიის თანხა გასცეს უნაღდო ანგარიშსწორებით, ამ განკარგულების მე-3 პუნქტში მითითებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირების (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სააგენტო, ჩამბარებელი პირი და კომპანია) მიერ ვაშლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის სააგენტოსთვის წარდგენიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

6. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების მიმდინარეობისას უზრუნველყოს ვაშლის ჩაბარების პროცესზე კონტროლი, წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

7. კომპანიები, რომლებსაც 2020 წლის განმავლობაში განზრახული აქვთ ვაშლის მიღება-გადამუშავება, ვალდებული არიან:

ა) გაიარონ რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით საკოორდინაციო შტაბში;

ბ) უზრუნველყონ კომპანიების არანაკლებ 10 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტით აღჭურვა;

გ) უზრუნველყონ ვაშლის მიმღები საწარმოს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკონტროლის სისტემით აღჭურვა (არანაკლებ 3 ვიდეოკამერა, ინტერნეტის სიჩქარე = 1 მბ/წმ კამერების რაოდენობაზე, სტატიკური გარე IP

მისამართი, მონიტორინგის ცენტრიდან ჩამწერამდე წვდომების გახსნა, ვიდეოჩამწერის მომხმარებელი კამერებზე ადმინისტრირების უფლებით, ვიდეოჩამწერი თავსებადი მონიტორინგის პროგრამასთან iVMS-4200 (ვერსია 3.3.0.4 ან მეტი), კამერა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი ლამის ხედვის ფუნქციით, ვაშლის მიღებისა და გადამუშავების პროცესის სრული ჩანაწერი (არქივის შენახვა წლის ბოლომდე), რომლის საშუალებით განხორციელდება ვაშლის მიღება-ჩაბარებისა და გადამუშავების პროცესის კონტროლი.

8. ამ განკარგულების მე-3 პუნქტში მითითებული სუბსიდიის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ კომპანიას, რომელსაც დაცული აქვს ამავე განკარგულების მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პირობები და რომელიც:

ა) ვაშლის მიღება-გადამუშავების პროცესის დაწყებამდე სააგენტოსთან გააფორმებს ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება);

ბ) შესყიდული 1 კგ ვაშლის სანაცვლოდ ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ 0,22 ლარს;

გ) 2020 წლის 10 დეკემბრამდე სააგენტოს წარუდგენს:

გ.ა) ვაშლის ჩაბარების თაობაზე ვაშლის ჩამბარებელსა და კომპანიას შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს/სააგენტოს, კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლები და ვაშლის ჩამბარებელი;

გ.ბ) ვაშლის ჩამბარებლისთვის/ჩამბარებლებისთვის 1 კგ ვაშლის შესყიდვის სანაცვლოდ არანაკლებ 0,22 ლარის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

9. კომპანიაზე ამ განკარგულების მე-3 პუნქტში მითითებული სუბსიდია გაიცემა ამავე განკარგულების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სააგენტოში წარდგენიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

10. კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს ვაშლის ყოველდღიური მიღების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საკოორდინაციო შტაბისათვის.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია